

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) "რეადმისიის ეფექტური მართვის ჩამოყალიბების ხელშეწყობა სომხეთში, აზერბაიჯანში და საქართველოში" პროექტის ბიულეტენი

მთავარი თემები:

რეადმისიის მართვის ელექტრონული სისტემის წარმატებული დანერგვა საქართველოში

პროექტის მთავარი მიღწევა საქართველოში რეადმისიის მართვის ელექტრონული სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობაა, რომელიც რეადმისიის შემთხვევების მართვის სფეროში საქართველოს და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ყოველდღიურობის ნაწილია. საქართველო პირველი ქვეყანაა, სადაც რეადმისიის მართვა უსაფრთხო ელექტრონული პორტალის საშუალებით ხდება.

ბოლო წლების განმავლობაში IOM-მა პირდაპირი დახმარება გაუწია საქართველოს მთავრობას რეადმისიის მართვის ელექტრონული პორტალის განვითარებაში. საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის პირდაპირი, ორმხრივი ურთიერთობის ხელშეწყობით IOM-მა წვლილი შეიტანა მოწინავე ელექტრონული სისტემის განვითარებაში, რომელმაც ჩაანაცვლა ქაღალდზე შევსებული რეადმისიის მოთხოვნების გაგზავნის სისტემა. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს, რომელიც სრულად მოიცავს რეადმისიის პროცესს; ეს გულისხმობს ევროკავშირის ქვეყნების მიერ საქართველოს მოქალაქეების რეადმისიის მოთხოვნის ატვირთვას, აღნიშნული მოთხოვნების დამუშავებას საქართველოს მთავრობის მხრიდან და სარეადმისიო პირთა ფაქტობრივ მონაცემთა გადაცემას. სისტემა ასევე უკავშირდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, რომელიც კოორდინაციას უწევს დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციას; შესაბამისად, სისტემა სამინისტროს და მის პარტნიორს, IOM-ს, აძლევს საშუალებას სარეინტეგრაციო დახმარება გაუწიოს დაბრუნებულ მიგრანტებს.

2014 წლის 30 იანვარს ელექტრონული სისტემის საშუალებით მოხდა პირველი მოთხოვნის ატვირთვა პოლონეთის საიმიგრაციო სამსახურის მიერ და მას მიჰყვნენ ევროკავშირის სხვა ქვეყნებიც. 2014 წლის 31 აგვისტომდე ევროკავშირის ხუთი ქვეყნის (პოლონეთი, გერმანია, ბელგია, ავსტრია, ბულგარეთი) მიერ პორტალზე 176-მდე რეადმისიის მოთხოვნა აიტვირთა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით ევროკავშირის სხვა ქვეყნებმაც გამოითხოვეს სისტემაში შესასვლელად საჭირო მონაცემები და უახლოეს მომავალში ისინიც დაიწყებენ მის გამოყენებას.

სისტემის ოფიციალური შეფასება ჯერ არ ჩატარებულა, თუმცა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისათვის უკვე ცნობილია ევროკავშირის ორი ქვეყნის დადებითი დამოკიდებულება; ისინი ელექტრონულ სისტემას ახასიათებენ როგორც წინ გადადგმულ ნაბიჯს რეადმისიის მართვის სფეროში. IOM-ს აქვს სურვილი ხელი შეუწყოს ამ სისტემის, როგორც მიგრაციის სფეროში არსებული გამოწვევების მართვის საუკეთესო პრაქტიკის, დანერგვას სხვა ქვეყნებშიც, რომლებსაც ასევე აქვთ გაფორმებული რეადმისიის შესახებ შეთანხმება ევროკავშირთან.



ამ გამოცემაში:

გვერდი 1

მთავარი თემები: რეადმისიის მართვის ელექტრონული სისტემის წარმატებული დანერგვა საქართველოში

გვერდი 2

დაბრუნების მართვის სემინარები თბილისში

გვერდი 3

- საქართველოში რეადმისიის სტატისტიკა
- პერსპექტივაში: IOM-ის საქართველოდან წარმოშობის ქვეყნებში ნებაყოფლობით დაბრუნების და რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა

გვერდი 4

- საქართველოს ახალი საიმიგრაციო წესები
- პროექტის შესახებ



პროექტს აფინანსებს
ევროკავშირი



პროექტს ახორციელებს
მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

დაბრუნების მართვის სფეროში უსაქმლოების განვითარება

2013 წლის ივნისში და 2014 წლის აპრილში IOM-მა თბილისში საქართველოს მთავრობისათვის მიგრანტების ჰუმანური დაბრუნების ხელშეწყობის და მიგრანტთა დაკავების ცენტრების მართვის მიმართულებით ორი სემინარი ჩაატარა.

2014 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი კანონი "უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" (იხ. გვ. 4), რომლის საფუძველზეც და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის და ასოცირების შესახებ შეთანხმების დღის წესრიგის შესაბამისად საქართველო ავითარებს წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების ხელშეწყობის პოლიტიკის და მიგრანტთა დაკავების ცენტრების მართვის მექანიზმებს. ამ მიმართულებით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს მთავრობას უწევს ტექნიკურ მხარდაჭერას და ხელს უწყობს შესაბამისი პოლიტიკის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის და ადამიანის უფლებების გათვალისწინებით გატარებას.


მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ მოიწვია საიმიგრაციო დეპარტამენტების თანამშრომლები ევროკავშირის ოთხი წევრი ქვეყნიდან (ბელგია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ნიდერლანდები, პოლონეთი), რომლებმაც ქართველ კოლეგებთან პოლიტიკის განვითარების და განხორციელების დეტალებზე, მიგრანტების დაბრუნების

და მიგრანტთა დაკავების ცენტრების ეფექტურ მართვაზე ისაუბრეს. ექსპერტების მიერ მოხდა მიგრანტთა უფლებების დაცვის სფეროში არსებულ გამოწვევებზე საპასუხო პრაქტიკული რჩევების გაზიარება.

აღნიშნულ პერიოდში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ უხელმძღვანელა ორ სასწავლო ვიზიტს საქართველოს მთავრობის ცხრა წარმომადგენლისათვის პოლონეთში, ნიდერლანდებსა და ბელგიაში. სასწავლო ვიზიტების საშუალებით წარმატებით მოხდა იმის დემონსტრირება, თუ როგორ ხდება ევროკავშირის ქვეყნების მიერ უკანონო მიგრანტების დაბრუნების პოლიტიკის განვითარება და გამგზავრებამდე მიგრანტთა დროებით განსახლების ცენტრებში განთავსებასთან დაკავშირებული მრავალი სირთულეების მართვა. სასწავლო ვიზიტებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ნებაყოფლობითი დაბრუნების და რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამებს, რომლებსაც ორგანიზაცია აღნიშნულ სამ ქვეყანაში ახორციელებს. საქართველოს მთავრობისათვის ეს კომპონენტი საკმაოდ

საინტერესო აღმოჩნდა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას საქართველოდან უცხოელი თანამემამულეების დაბრუნების პოლიტიკის მთავარ ელემენტად ნებაყოფლობითი დაბრუნების განხილვა და მისი ინსტიტუციონალურ ჩარჩოში გაერთიანება შესთავაზა; ამ მიმართულებით იგეგმება ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება.

სემინარებს და სასწავლო ვიზიტებს 2014 წლის ოქტომბერში ბრიტანელი ექსპერტის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლობისათვის მიგრანტთა დაკავების ცენტრის მართვის სფეროში ტრენინგები მოჰყვება. ამ მიზნისათვის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისია გამოიყენებს ვრცელ სტანდარტულ ოპერატიულ პროცედურებს, რომლებიც აღნიშნულმა ექსპერტმა ამავე პროექტის "ეფექტური რეადმისიის მართვის ჩამოყალიბების ხელშეწყობა სომხეთში, აზერბაიჯანში და საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში" ფარგლებში განავითარა.



საქართველოში რეადმისიის სტატისტიკა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ განაახლა საქართველოში რეადმისიის მართვის სტატისტიკა და ტენდენციები და გააკეთა შედარება IOM-ის წინა ბიულეტენებში წარმოდგენილ მონაცემებთან.

ევროკავშირის უმეტესი ქვეყნების საიმიგრაციო დეპარტამენტები აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოსთან რეადმისიის ხელშეკრულების ფარგლებში და რეგულარულად წარადგენენ საქართველოს მოქალაქეების რეადმისიის მოთხოვნებს. 2012 წლის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა იმ ევროკავშირის ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც საქართველოს მთავრობას ხელშეკრულების ამოქმედებიდან 18 თვის მანძილზე ქართველების რეადმისიის თხოვნით მიმართა; განაცხადების საშუალო მაჩვენებელი 83-ს მიაღწია. ცხრილში (იხ. ქვემოთ) მოცემულია რეადმისიის ხელშეკრულების მოქმედების 42 თვის მანძილზე ხელმისაწვდომი განახლებული სტატისტიკა. საშუალო თვიური მაჩვენებელი სტაბილურია (85 განაცხადი თვეში).

გერმანიას კვლავ პირველი ადგილი უკავია წარდგენილი რეადმისიის განცხადებების მაღალი რაოდენობით; შემდეგ მოდის საბერძნეთი, საფრანგეთი, ავსტრია და ბელგია. უკანასკნელი წლის მანძილზე საბერძნეთი და საფრანგეთი განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ საქართველოსთან გაფორმებულ რეადმისიის ხელშეკრულებას; თუმცა, უფრო ნელი ტემპით იზრდება განაცხადების რაოდენობა ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა ნიდერლანდები და პოლონეთი (რომლებიც მნიშვნელოვანი

დანიშნულების ქვეყნებია ქართველი მიგრანტებისათვის).

გაიზარდა რეადმისიის მოთხოვნებზე დადებითი გადაწყვეტილების პროცენტულობაც. 2012 წლის მარტში ის 90.2 %, 2012 წლის დეკემბერში კი 92.5 % იყო; ამჟამად უკვე 92.6 %. ეს ნათლად

მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს კოლეგებთან ევროკავშირში იმ მიგრანტების საქართველოში რეადმისიის კუთხით, რომელთა საქართველოს მოქალაქეობა უკვე დადასტურებულია.

რეადმისიის სტატისტიკა (პერიოდი: 1 მარტი 2011 – 31 აგვისტო 2014)

| მომთხოვნი სახელმწიფო | მოთხოვნების რაოდ. | მიღებული | უარყოფილი | დადებითი გადაწყვეტილებები % |
|-----------------------|-------------------|-------------|------------|-----------------------------|
| გერმანია | 869 | 798 | 71 | 91,83 |
| საბერძნეთი | 527 | 503 | 24 | 95,44 |
| საფრანგეთი | 388 | 338 | 50 | 87,11 |
| ავსტრია | 346 | 322 | 24 | 93,06 |
| ბელგია | 315 | 304 | 11 | 96,51 |
| შვედეთი | 206 | 181 | 25 | 87,86 |
| ნიდერლანდები | 202 | 168 | 34 | 83,17 |
| ლიტვა | 201 | 201 | - | 100 |
| ესპანეთი | 155 | 148 | 7 | 95,48 |
| პოლონეთი | 145 | 142 | 3 | 97,93 |
| იტალია | 120 | 108 | 12 | 90 |
| უნგრეთი | 25 | 25 | - | 100 |
| კვიპროსი | 20 | 20 | - | 100 |
| ბულგარეთი | 13 | 13 | - | 100 |
| პორტუგალია | 10 | 9 | 1 | 90 |
| ჩეხეთის რესპუბლიკა | 8 | 7 | 1 | 87,5 |
| ფინეთი | 9 | 9 | - | 100 |
| რუმინეთი | 8 | 8 | - | 100 |
| სლოვაკეთის რესპუბლიკა | 7 | 7 | - | 100 |
| ესტონეთი | 6 | 6 | - | 100 |
| დიდი ბრიტანეთი | 4 | 4 | - | 100 |
| სულ | 3584 | 3320 | 264 | 92.6% |

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პერსპექტივაში: საქართველოდან ნებაყოფლობით დაბრუნების და რეინტეგრაციის IOM-ის ხელშეწყობის პროგრამა

2013 წლის იანვრის პირველი რიცხვებიდან მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ახორციელებს საქართველოდან ნებაყოფლობით დაბრუნების და რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამას (AVRR). ეს პროგრამა საქართველოში სხვადასხვა მიზეზების და გარემოებების გამო ჩარჩენილ უცხოელ მოქალაქეებს, რომლებიც უსახსრობის გამო სამშობლოში დაბრუნებას ვერ ახერხებენ, სთავაზობს სამშობლოში ღირსეული დაბრუნების შესაძლებლობას. 2014 წლის აგვისტომდე 115-მა უცხოელმა ისარგებლა პროგრამის ფარგლებში

ხელმისაწვდომი მომსახურებით, რაც მოიცავს ჰუმანიტარულ დახმარებას გამგზავრებამდე, სამგზავრო ღონისძიებების მოწესრიგებას და სარეინტეგრაციო დახმარებას სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. აღნიშნული 115 მიგრანტიდან ყველაზე მეტი ადამიანი დაბრუნდა ერაყში (46), ნიგერიაში (32), კამერუნში (15) და კოტ-დ'ივუარში (14).

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია AVRR-ის ფარგლებში ხელმისაწვდომ მომსახურებას კვლავ სთავაზობს

საქართველოში ჩარჩენილ და გასაჭირში მყოფ სხვა მიგრანტებს. IOM ასევე მუშაობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის ახალ დეპარტამენტთან ხელშეკრულების გაფორმებაზე, რაც უზრუნველყოფს ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამის ხელმისაწვდომობას საქართველოში მცხოვრები უკანონო მიგრანტებისათვის, რომელთაც აქვთ სამშობლოში დაბრუნების სურვილი და ასევე მიგრანტთა დაკავების ცენტრში მყოფი უცხოელებისათვის.

საქართველოს ახალი საიმიგრაციო წესები

2014 წლის 1 სექტემბერს ამოქმედდა კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. ახალი კანონის ერთ-ერთი მიზანია ქვეყანაში შემოსვლის და ვიზის გაცემის პროცედურების ეფექტური, საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი რეგულირება. კანონის განსაკუთრებული დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია კონკრეტული კატეგორიების განსაზღვრა მათთვის, ვისაც სხვადასხვა ტიპის ვიზა სხვადასხვა მიზნით

ესაჭიროება: ტურიზმი, ბიზნესი და სწავლა. ასევე გამარტივდა ქვეყანაში შესაბამისი ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცედურები. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია აგრძელებს ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობასთან დიალოგს, რომ ხელი შეუწყოს იმიგრაციის და საზღვრის მართვის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას და უზრუნველყოს სწორი ბალანსის დაცვა კეთილსინდისიერი მგზავრობის ხელშეწყობას და უკანონო მიგრაციის კონტროლს შორის.



პროექტის შესახებ

ამ ინიციატივის **ზოგადი მიზანია** საქართველოში რეადმისიის ეფექტური მართვის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა. პროექტის მოქმედების სფეროებია:

- საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება დაბრუნების და მიგრანტთა დაკავების ცენტრების მართვის პოლიტიკის განვითარების მიმართულებით;
- საქართველოს მთავრობის ხელშეწყობა ელექტრონული საკონსულტო მართვის სისტემის და რეადმისიის ელექტრონული მართვის მოდულის განვითარებაში (იხ. ამ ბიულეტენის პირველი გვერდი);
- საქართველოს მოსახლეობას და ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ქართველ მიგრანტებს შორის ინფორმაციის გავრცელება ახალ საკონსულტო მომსახურების პორტალზე, რომელიც 2015 წლიდან იქნება ხელმისაწვდომი;
- ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით რეადმისიის ხელშეკრულების და განსაკუთრებით მისი ადამიანური განზომილების სტრუქტურული მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა;
- ნებაყოფლობითი დაბრუნების და რეინტეგრაციის ხელშეწყობის ადგილობრივი პროგრამის განვითარება საქართველოში მცხოვრები უცხოელებისათვის, რომელთაც სამშობლოში დაბრუნება სურთ.

პროექტის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს: www.informedmigration.ge

პროექტი ხორციელდება შემდეგ უწყებებთან და დაწესებულებებთან თანამშრომლობით:



Ministry of the Interior



Repatriation and Departure Service
Ministry of Security and Justice



MINISTRY OF THE INTERIOR
OF THE CZECH REPUBLIC

IOM Development Fund

Development Capacities in
Migration Management

პროექტის თანადამფინანსებელია: